უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

[შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგია - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა]

[სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი]

[27.05.2024]

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი - მერაბი

გვარი - ჭუმბურიძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245 428 158

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგია
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე[2]	VII დონე
4	კვალიფიკაციის დასახელება	არქეოლოგიის მაგისტრო
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0222 - ისტორია და არქეოლოგია
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120 ECTS კრედიტი
9	განხორციელების ადგილი[5]	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი, ნინოშვილის ქ. 35, ბათუმი, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 31.03.2023 გადაწყვეტილების ნომერი N 369 486
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	17.03.2023
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	17.03.2024
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	17.03.2030

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	•			
2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა	•			
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	•			
4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	•			
5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები		•		

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 7 დეკემბრის № 1557317 ბრძანების საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: პიტერ დ,სენა (თავმჯდომარე), თეიმურაზ პაპასკირი (წევრი), მერაბ ჭუმბურიძე (წევრი), ია ნაცვლიშვილი (წევრი), ვაჟა მამიაშვილი (წევრი), დავით ფუტკარაძე (წევრი) – 2022 წლის 20, 21 და 22 დეკემბერს განახორციელა ვიზიტი სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ისტორიის“ და „არქეოლოგიის“ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე.

სააკრედიტაციო ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით და შეფერხებების გარეშე. ვიზიტის პროცესში დაწესებულების მხრიდან ექსპერტთა ჯგუფის მიმართ არსებობდა კეთილგანწყობილი და თანამშრომლობითი დამოკიდებულება. დასკვნის შეჯამებაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგიის" სამაგისტრო პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან - სრულად შესაბამისობა დადგინდა I, II, III და IV სტანდარტებთან, ხოლო მეტწილად შესაბამისობა V სტანდარტთან მიმართებით.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ თავისი გადაწყვეტილებით (N 369 481, 31.03.2023 წ.) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე „შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგია “ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გასცა 5 რეკომენდაცია: სტანდარტი IV - კომპონენტი 4.3 ერთი რეკომენდაცია, კომპონენტი 4.4 ერთი რეკომენდაცია; სტანდარტი V - კომპონენტი 5.1 ორი რეკომენდაცია, კომპონენტი 5.3 ერთი რეკომენდაცია.

1. რეკომენდებულია, აკადემიურ პერსონალში ინოვაციური სწავლების მეთოდების და პრაქტიკების განვითარების ხელშეწყობა;
2. რეკომენდებულია, საბიბლიოთკო რესურსის უზრუნველყოფა, სასწავლო კურსების სილაბუსებში განახლებული ლიტერატურის შესაბამისად.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის დონეზე უნდა გაძლიერდეს პროგრამის შეფასებისა და დამტკიცების პროცესებთან დაკავშირებით; ხოლო პროგრამების შეფასება უფრო სისტემატურად უნდა წარიმართოს. კერძოდ, ფაკულტეტის დონეზე აუცილებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაფილტროს პროგრამები ხარისხის გასაუმჯობესების მიზნით. შემდეგ პროგრამები უნდა დამტკიცდეს ფაკულტეტის დონეზე „ფაკულტეტის საბჭოს“ ან მისი ეკვივალენტი ორგანოს მიერ.
4. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განავითაროს უფრო ეფექტური და მჭიდრო თანამშრომლობა აკადემიურ პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის შემუშავებისა და ცვლილებების პროცესში. გასაუმჯობესებელი სფეროები მოიცავს, მაგალითად, სტუდენტის დატვირთვის შეფასებას, სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობას, სილაბუსებსა და შეფასებაში ნებისმიერი გამეორების იდენტიფიცირებას და ა.შ.

---

[6]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

5. მონიტორინგისა და განხილვის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა: სისტემატიურად შეაგროვოს და გააანალიზოს ინფორმაცია სტუდენტის დატვირთვის შესახებ (მაგალითად, სასწავლო მასალის რაოდენობა); გამოყოს კრედიტი, რათა უკეთ აისახოს კურსის შინაარსი, სტუდენტის დატვირთვა და შეფასების მეთოდების საერთო წილი კურსების შუალედური და საბოლოო შეფასებებისთვის. გარდა ამისა, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებმა, როგორიცაა კითხვარები, სტუდენტებისგან უნდა გამოავლინოს უფრო კონკრეტული მონაცემები, მათი პროგრამების სახელმძღვანელო ასპექტების ხარისხის შესახებ.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

სტანდარტი IV –

კომპონენტი 4.3

1. რეკომენდებულია, აკადემიურ პერსონალში ინოვაციური სწავლების მეთოდების და პრაქტიკების განვითარების ხელშეწყობა.

უსდ-მ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის სწავლების მეთოდების და პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით: ჩატარდა 2 ტრენინგი და 1 თემატური სემინარი; მიღებული იქნა დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის შესახებ; სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის და პროფესიული სრულყოფის მიზნით 2024 წლის ბიუჯეტის მეშვიდე პუნქტში გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება 38000 ლარის ოდენობით. შესაბამისად, პირველი რეკომენდაცია შესრულებულია.

სტანდარტი IV –

კომპონენტი 4.4

1. რეკომენდებულია, საბიბლიოთეკო რესურსის უზრუნველყოფა, სასწავლო კურსების სილაბუსებში განახლებული ლიტერატურის შესაბამისად.

ოთხი სასწავლო კურსისათვის მოძიებული იქნა 14 ახალი სავალდებულო ლიტერატურა. დასახელებული სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლისას გაირკვა, რომ ახალი ლიტერატურა დამატებულია ოთხივე სასწავლო კურსის სილაბუსებში. მხოლოდ ერთი სასწავლო კურსის სილაბუსში „საქართველო და ანტიკური სამყარო“ გასასწორებელია ტექნიკური ხარვეზი და სასწავლო გეგმის თანახმად უნდა ჩაიწეროს „სამხრეთი-დასავლეთი საქართველო და ანტიკური სამყარო“. მეორე რეკომენდაცია შესრულებულია.

---

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

სტანდარტი V –

კომპონენტი 5.1

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის დონეზე უნდა გაძლიერდეს პროგრამის შეფასებისა და დამტკიცების პროცესებთან დაკავშირებით; ხოლო პროგრამების შეფასება უფრო სისტემატურად უნდა წარიმართოს. კერძოდ, ფაკულტეტის დონეზე აუცილებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაფილტროს პროგრამები ხარისხის გასაუმჯობესების მიზნით. შემდეგ პროგრამები უნდა დამტკიცდეს ფაკულტეტის დონეზე „ფაკულტეტის საბჭოს“ ან მისი ეკვივალენტი ორგანოს მიერ.

უსდ-ს აქვს პროგრამის შემუშავების, შეფასების, დამტკიცების გამართული სისტემა, რომელიც ასახულია ნორმატიულ დოკუმენტებში. აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულებაზე მუშაობის პროცესში აქტიურად ჩაერთო ხარისხის სამსახური. მისი უშუალო მონაწილეობით შეიქმნა „ისტორია-არქეოლოგიის“ კლასტერის თვითშეფასების ჯგუფი და შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი, რომლებმაც ხარისხის სამსახურის ჩართულობით დაიწყეს მუშაობა რეკომენდაციების შესრულებაზე. ბოლოს სამუშაო ჯგუფმა შეაჯამა ჩატარებული სამუშაოების შედეგები, რის შემდეგაც რეკომენდაციების შესრულების საკითხი განიხილა და პროგრამის ცვლილებები დააამტკიცა ფაკულტეტის საბჭომ. აღნიშნულიდან გამომდინარე, უსდ-მ შეასრულა მესამე რეკომენდაცია.

2. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განავითაროს უფრო ეფექტური და მჭიდრო თანამშრომლობა აკადემიურ პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის შემუშავებისა და ცვლილებების პროცესში. გასაუმჯობესებელი სფეროები მოიცავს, მაგალითად, სტუდენტის დატვირთვის შეფასებას, სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობას, სილაბუსებსა და შეფასებაში ნებისმიერი გამეორების იდენტიფიცირებას და ა.შ.

შეიქმნა „ისტორია-არქეოლოგიის“ კლასტერის და შავიზღვისპირეთის და კავკასიის ანტიკური არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა სამოქმედო გეგმა და მისი ფორმა; განსაზღვრა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. სამუშაო ჯგუფმა ასევე შეამოწმა სასწავლო კურსების სილაბუსები და იმსჯელა სასწავლო კურსებით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობაზე, სტუდენტების საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაოსათვის გამოყოფილი საათების თანაფარდობის შესახებ, შეფასების მექანიზმების შესაბამისობაზე. სამუშაო პროცესში აქტიურად იყო ჩართული აკადემიური პერსონალი, დამსაქმებელი და ხარისხის სამსახური. შესაბამისად, შესრულებული იქნა მეოთხე რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებდა ხარისხის სამსახურის აქტიურ თანამშრომლობას აკადემიურ პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის შემუშავებისა და ცვლილების პროცესში.

სტანდარტი V –

კომპონენტი 5.3

1. მონიტორინგისა და განხილვის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა: სისტემატიურად შეაგროვოს და გააანალიზოს ინფორმაცია სტუდენტის დატვირთვის შესახებ (მაგალითად, სასწავლო მასალის რაოდენობა); გამოყოს კრედიტი, რათა უკეთ აისახოს კურსის შინაარსი, სტუდენტის დატვირთვა და შეფასების მეთოდების საერთო წილი კურსების შუალედური და საბოლოო შეფასებებისთვის. გარდა ამისა, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებმა, როგორიცაა კითხვარები, სტუდენტებისგან უნდა გამოავლინოს უფრო კონკრეტული მონაცემები, მათი პროგრამების სახელმძღვანელო ასპექტების ხარისხის შესახებ.

უსდ-ს გააჩნია შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები რომლებიც იძლევა საშუალებას შეისწავლოს სტუდენტთა კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზების, სასწავლო კურსებით, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზების ხარისხით. ასევე გაანალიზოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, სტუდენტთა სერვისებით კმაყოფილების საკითხი, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმება, სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევა, სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობა, სასწავლო კურსების დატვირთვის ადექვატურობა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. საანალიზოდ ასევე წარმოდგენილი იქნა სტუდენტური პორტალის გამოკითხვის შედეგები. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 159 სტუდენტმა, მათ შორის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამიდან. შევნიშნავთ, რომ კარგი იქნებოდა საანალიზოდ წარმოდგენილი ყოფილიყო მოპოვებული მონაცემების შინაარსობრივი ანალიზი კონკრეტულად „„შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვების შესახებ. თუმცა მიგვაჩნია, რომ უსდ-მ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით, შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ მეხუთე რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია.

რჩევ(ებ)ი[8]

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

დამატებითი ინფორმაცია[10]

---

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება[13]	4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდებულია, აკადემიურ პერსონალში ინოვაციური სწავლების მეთოდების და პრაქტიკების განვითარების ხელშეწყობა.
შეფასება	აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიშის მიხედვით უსდ-მ გაითვალისწინა რეკომენდაცია და მიღებული იქნა ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი (დადგენილება N 06-01/54 14 ივლისი, 2023), რომლის V მუხლის „საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი“ (ი) პუნქტი (სწავლა-სწავლების მეთოდები) განსაზღვრავს სწავლა-სწავლების მეთოდების პროგრამაში მითითების ფორმას. იქვეა მითითებული სწავლა-სწავლების მეთოდების სარეკომენდაციო ჩამონათვალი. ასევე განსაზღვრავს შეფასების სისტემას და სთავაზობს აკადემიურ პერსონალს შეფასების მეთოდების სარეკომენდაციო ჩამონათვალს ბსუ-ს სასაწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (დადგენილება N111 8 ოქტომბერი, 2015 წელი) XIV მუხლი „სტუდენტის შეფასების წესი“ (პუნქტები 14.2;14.3). ანგარიშში ასევე მითითებულია უსდ-ს მიერ გატარებული სხვადასხვა ღონისძიებები: • 2023 წლის 08-12 მაისს ბსუ-ში ჩატარდა ტრენინგი “ამობრუნებული საკლასო ოთახი“. კურსის ფარგლებში განხილული იქნა შემდეგი საკითხები: რა არის აქტიური სწავლა და რატომაა მისი დანერგვა მიზანშეწონილი ახალ თაობასთან მუშაობაში; გააცნობიერეს, როგორი უპირატესობები აქვს ამობრუნებულ საკლასო ოთახს ონლაინ-სწავლების ფორმატში და რატომაა იგი უფრო შედეგიანი, ვიდრე ტრადიციული საკლასო ოთახი; მონაწილეები

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	გაეცნენ ღია საგანმანათლებლო რესურსებსა (Open Educational Resources) და მათი გამოყენების სამართლებრივ ასპექტებს; პრაქტიკაში გამოცადეს (Learning by Doing) სწავლების ციფრული ხელსაწყოები. კურსის ფარგლებში გაიმართა მსჯელობა შეფასების მეთოდების მოდიფიკაციის საჭიროებასა და უკუკავშირის (Feedback) მნიშვნელობაზე; გაირკვა განსხვავება განმავითარებელსა (formative assessment) და შემაჯამებელ (summative assessment) შეფასებებს შორის; განიხილეს თვითშეფასების, კოლეგიალური შეფასებისა და მასწავლებლის მიერ განსახორციელებელი შეფასების მეთოდები; მოსინჯეს ონლაინ-ხელსაწყოები, რომლებსაც გამოიყენებენ შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველსაყოფად. • 2023 წლის 12-13 ოქტომბერს ბსუ-ში გაიმართა ევროკავშირის პროგრამის Erasmus+ ის მიერ დაფინანსებული პროექტის Bologna Hub Peer Support II ფარგლებში თემატური სემინარები: ✓ კურიკულუმისგანვითარება/ მოდულარიზაცია; ✓ სწავლებისა და სწავლის ინოვაციური მიდგომები(მაგ. დიგიტალიზაცია); ✓ მობილობა და ინტერნაციონალიზაცია; • 2023 წლის ნოემბერ-დეკემბერში ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის გაიმართა ტრენინგი თემაზე: „როგორ გავხადოთ ლექცია/სემინარი ინტერაქტიული (სწავლების აქტიური მეთოდები)“ – 4-5 დეკემბერი, რომელსაც ესწრებოდა შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პირები და მოწვეული პერსონალი; • 2023-2024 და 2024-2025 სასწავლო წლებისათვის ასევე დაგეგმილია პერსონალის პროფესიული ზრდისათვის განკუთვნილი ტრენინგების ჩატარება, რაც შესაბამისად ასახულია ბსუ-ს 2024 წლის ბიუჯეტში. საანალიზოდ წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ საანგარიშო პერიოდში უსდ-მ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის სწავლების მეთოდების და პრაქტიკის განვითარების ხელჭეყობის მიმართულებით:

	✓ ჩატარდა 2 ტრენინგი და 1 თემატური სემინარი; ✓ მიღებული იქნა დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი (დადგენილება N 06-01/54 14 ივლისი, 2023); ✓ 2024 წლის ბიუჯეტში პუნქტი 7 (გვ. 36) გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის მონაწილეობის დაფინანსება საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინასება 38000 ლარის ოდენობით, რაც ითვალისწინებს ხელშეწყობას როგორც სამეცნიერო საქმიანობის, ასევე პერსონალის პროფესიული სრულყოფის მიმართულებით. შესაბამისად, უსდ-მ შეასრულა პირველი რეკომენდაცია.
მტკიცებულებ(ები)ა	• დადგენილება N 06-01/54 14 ივლისი, 2023; • დადგენილება N111 8 ოქტომბერი, 2015 წელი; • 2023 წლის 11 მაისის ბრძანება N01-04/43 ტრენინგებზე „ამობრუნებული სასწავლო ოთახის მოდელი ინლაინ- სწავლებაში“; • ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ტრენინგ-მოდულების ციკლიhttps://bsu.edu.ge/sub-27/page/19808/index.html • ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2024 წლის ბიუჯეტი.

სტანდარტის დასახელება	4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4. 4. მატერიალური რესურსი
რეკომენდაცია II[15]	რეკომენდებულია, საბიბლიოთკო რესურსის უზრუნველყოფა, სასწავლო კურსების სილაბუსებში განახლებული ლიტერატურის შესაბამისად.
შეფასება	აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიშის მიხედვით უსდ-მ გაითვალისწინა რეკომენდაცია და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე ბსუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ გადამოწმდა და დადასტურდა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის

[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	„შავიზღვისპირეთისა და კავკასიის არქეოლოგია“ სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო ლიტერატურის ხელმისაწვდომობა. გარდა ამისა განახლდა ლიტერატურა ოთხი სასწავლო კურსის სილაბუსებში: საანალიზოდ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლამ აჩვენა შემდეგი ვითარება. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 27 თებერვლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე რექტორის დავალებით შექნილმა ჯგუფმა შეამოწმა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „შავიზღვისპირეთისა და კავკასიის არქეოლოგია“ სასწავლო კურსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკის ბაზებში. ასევე მოძიებული იქნა ახალი ლიტერატურა შემდეგი სასწავლო კურსებისათვის: ✓ სამხრეთი შავიზღვისპირეთის ანტიკური ხანის არქეოლოგია - 5 სავალდებულო ლიტერატურა. სასწავლო კურსის სილაბუსში დამატებულია ხუთივე (გვ. 7); ✓ სამხრეთი კავკასიის ანტიკური ხანის არქეოლოგია - 2 სავალდებულო ლიტერატურა. სასწავლო კურსის სილაბუსში დამატებულია ორივე (გვ. 7); ✓ შავიზღვისპირეთის კოლონიზაციის მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები - 2 სავალდებულო ლიტერატურა. სასწავლო კურსის სილაბუსში დამატებულია ორივე (გვ. 7); ✓ სამხრეთი-დასავლეთი საქართველო და ანტიკური სამყარო - 5 სავალდებულო ლიტერატურა. სასწავლო კურსის სილაბუსში დამატებულია ხუთივე (გვ. 7); ოთხი სასწავლო კურსისათვის მოძიებული იქნა 14 ახალი სავალდებულო ლიტერატურა, რასაც ადასტურებს ბსუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორის 2024 წლის 15 მარტის მოხსენებითი ბარათის დანართი (ისტორია-არქეოლოგიის კლასტერის პროგრამების ლიტერატურის სია - გვ. 9-11). დასახელებული სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლისას გაირკვა, რომ ახალი ლიტერატურა დამატებულია ოთხივე სილაბუსში. მხოლოდ ერთი სასწავლო კურსის სილაბუსში გასასწორებელია ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ, სასწავლო გეგმაში მითითებულია სახელწოდება „სამხრეთ-დასავლეთი საქართველო და ანტიკური სამყარო“, ხოლო სილაბუსში წერია

	„საქართველო და ანტიკური სამყარო“. შესაბამისად, სილაბუსის დასახელება უნდა გასწორდეს სასწავლო გეგმის მიხედვით. მეორე რეკომენდაცია შესრულებულია.
მტკიცებულებ(ები)ა	• ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის სამსახურეობრივი ბარათი; • ბსუ-ს ილის ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის დირექტორის სამსახურეობრივი ბარათი; • განახლებული სასწავლო კურსების სილაბუსები: ✓ სამხრეთი შავიზღვისპირეთის ანტიკური ხანის არქეოლოგია; ✓ სამხრეთი კავკასიის ანტიკური ხანის არქეოლოგია; ✓ შავიზღვისპირეთის კოლონიზაციის მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები; ✓ სამხრეთი-დასავლეთი საქართველო და ანტიკური სამყარო.

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.1. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები
რეკომენდაცია III[16]	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის დონეზე უნდა გაძლიერდეს პროგრამის შეფასებისა და დამტკიცების პროცესებთან დაკავშირებით; ხოლო პროგრამების შეფასება უფრო სისტემატურად უნდა წარიმართოს. კერძოდ, ფაკულტეტის დონეზე აუცილებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაფილტროს პროგრამები ხარისხის გასაუმჯობესების მიზნით. შემდეგ პროგრამები უნდა დამტკიცდეს ფაკულტეტის დონეზე „ფაკულტეტის საბჭოს“ ან მისი ეკვივალენტი ორგანოს მიერ.
შეფასება	აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიშის მიხედვით უსდ-ს მიერ მიღებული იქნა დადგენილება ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი (დადგენილება N 06-01/54 14 ივლისი, 2023), რომელიც განსაზღვრავს აკრედიტაციისა თუ რეაკრედიტაციის პირობებში საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და დამტკიცების პროცედურებს, მათ

[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	შორის პროგრამების სისტემური გაფილტვრის მექანიზმებს. მუხლი 3 "პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება" (პუნქტები 7,8, 10,11,12,13,14,15) მიხედვით გამოიყოფა შესაბამისი პასუხისმგებელ პირები თუ სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ამ პროცესში ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას. პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით შეიმუშავებს სამუშაო გეგმას, რომელშიც დეტალურად უნდა გაიწეროს პროგრამის შემუშავების/ ცვლილებების განხორციელების და აკრედიტაციისთვის მომზადების ვადები, ცალკეული აქტივობის შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები. ფაკულტეტის დეკანის მიერ სამუშაო გეგმა, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობით (ვიზირებით), წარედგინება ბსუ-ს რექტორს, სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ბრძანების გამოცემის მიზნით. საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების/ ცვლილებების განხორციელების შიდა ექსპერტიზის მიზნით ფაკულტეტზე იქმნება კურიკულუმის კომიტეტი, ფაკულტეტის საგანმანთლებლო პროგრამების მიმართულებების მიხედვით. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს დასამტკიცებლად კურიკულუმის კომიტეტის შემადგენლობას (ბსუ-ს აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები, ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დარგობრივი დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორები). პროგრამის სამუშაო ჯგუფისა და კურიკულუმის კომიტეტის მუშაობას კოორდინირებას უწევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები სამუშაო ჯგუფთან ერთად ამზადებს საგანმანათლებლო პროგრამას, შესაბამის სილაბუსებსა და პროგრამის აკრედიტაციისათვის საჭირო ყველა მასალას და განსახილველად წარუდგენს კურიკულუმის კომიტეტს. კურიკულუმის კომიტეტი: ა) განიხილავს სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ მასალებს: საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო

	გეგმა; სილაბუსები; უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; კურიკულუმის რუკა; პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა; დადასტურება ბსუ-ს ბიბლიოთეკიდან სავალდებულო ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდში ხელმისაწვდომობის შესახებ; პროგრამის პირველადი ხარჯთაღრიცხვა/ ბიუჯეტი (ნიმუში/ფორმა მტკიცდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად); საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნებართვა პროგრამის უცხო ენაზე განხორციელების თაობაზე; საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების დამადასტურებელი დასკვნები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი დარგის სპეციალისტებისგან (სასურველია მათ შორის ერთი მაინც იყოს უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლისგან); ბ) იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის დაგეგმვა/შემუშავებასთან დაკავშირებულ თითოეულ საკითხზე, ისმენს ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისაგან, უფლებამოსილია მოითხოვოს საცდელი ლექციის/ჯგუფში მუშაობის ან სხვა აქტივობის ჩატარება, შეამოწმოს სასწავლო მასალები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეაფასოს სამეცნიეროკვლევები და სხვა; გ) პროგრამის შემუშავების პროცესში არსებული ხარვეზების შემთხვევაში, უფლებამოსილია სამუშაო ჯგუფს მისცეს რეკომენდაცია და გონივრული ვადა მათ აღმოსაფხვრელად. პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში კურიკულუმის კომიტეტის წევრებმა უნდა შეიკრიბონ სულ მცირე ორჯერ. კურიკულუმის კომიტეტის მუშაობა აისახება კომიტეტის სხდომის ოქმებში. კომიტეტი ამზადებს დასკვნას პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის/ შეუსაბამობის თაობაზე. კურიკულუმის კომიტეტის დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა წარედგინება დასამტკიცებლად ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში პროგრამა, სათანადო რეკომენდაციებით უბრუნდება პროგრამის სამუშაო ჯგუფს გადასამუშავებლად. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების

	საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობით (ვიზირებით) წარედგინება აკადემიურ საბჭოს. ფაკულტეტის საბჭო და აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მოითხოვოს საგანმანათლებლო პროგრამის დამატებითი დამოუკიდებელი ექსპერტიზა. აკადემიურ საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის წარდგენის პროცესის კოორდინირებას ახორციელებს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. აღნიშნული რეკომენდაციის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო დონეზე, სისტემურად არის ჩართული და ჯეროვნად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში პროგრამის სამუშაო ჯგუფთან ერთად, შეფასების და დამტკიცების პროცესებში კურიკულუმის კომიტეტთან, ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიურ საბჭოსთან თანამშრომლობით. წარმოდგენილი მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ უსდ-ს აქვს პროგრამის შემუშავების, შეფასების, დამტკიცების გამართული სისტემა, რომელიც ასახულია ნორმატიულ დოკუმენტებში. მაგალითად, პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი (დადგენილება N 06-01/54 14 ივლისი, 2023), კერძოდ: მუხლი 3 “პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება“). აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში (გვ. 78) ნათლად არის ნათქვამი, რომ ზემოთდასახელებული წესი კარგად არეგულირებს პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმებს. ექსპერტთა ძირითადი შენიშვნა ეხებოდა ფაკულტეტის დონეზე ხარისხის უნივერსიტეტის მექნიზმების გაძილერებას, რადგანაც ვიზიტის დროს გაირკვა, რომ პროგრამები გავიდა ფაკულტეტის საბჭოზე პროგრამული კომიტეტის რეკომენდაციების საფუძველზე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დამუშავების და რეკომენდაციის გარეშე (გვ. 80-81). აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულებაზე მუშაობის პროცესში აქტიურად ჩაერთო ხარისხის სამსახური. მისი უშუალო მონაწილეობით შეიქმნა „ისტორია-

	არქეოლოგიის“ კლასტერის თვითშეფასების ჯგუფი და შავიზღვისპირეთის და კავკასიის ანტიკური არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი, რომლებმაც ხარისხის სამსახურის ჩართულობით დაიწყეს მუშაობა რეკომენდაციების შესრულებაზე. განისაზღვრა სამუშაო გეგმა, ვადები და პასუხისმგებელი პირები; გადაიხედა სილაბუსების მოცულობა და საათების რაოდენობა; მოძიებული იქნა ახალი ლიტერატურა; ჩატარდა ტრენინგები და შეხვედრები ინოვაციური სწავლების მეთოდების და პრაქტიკების განვითარების ხელშეწყობისათვის. ბოლოს სამუშაო ჯგუფმა შეაჯამა რეკომენდაციების შესრულების ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების შედეგები. ამის შემდეგ რეკომენდაციების შესრულების საკითხი განიხილა და პროგრამაში შეტანილი ცვლილებები დააამტკიცა ფაკულტეტის საბჭომ. აღნიშნულიდან გამომდინარე ვთვლით, რომ უსდ-მ შეასრულა მესამე რეკომენდაცია.
მტკიცებულებ(ები)ა	• ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი (დადგენილება N 06-01/54 14 ივლისი,2023); • სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები N 1, 2, 3; • ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ამონაწერი - ოქმი N 22-05/05 13.08.2023; • უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის მომზადების სამუშაო გეგმა.

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.1. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები
რეკომენდაცია IV[17]	რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განავითაროს უფრო ეფექტური და მჭიდრო თანამშრომლობა აკადემიურ პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის შემუშავებისა და ცვლილებების პროცესში. გასაუმჯობესებელი სფეროები მოიცავს, მაგალითად, სტუდენტის დატვირთვის შეფასებას, სასწავლო კურსების

[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	კრედიტების რაოდენობას, სილაბუსებსა და შეფასებაში ნებისმიერი გამეორების იდენტიფიცირებას და ა.შ.
შეფასება	აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიშის მიხედვით უსდ აღვნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და ცვლილებების პროცესებში ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფს სამსახური მჭიდრო თანამშრომლობას განავითარებს პროგრამის სამუშაო ჯგუფთან, რომლის შემადგენლობაში შედიან: პროგრამის ხელმძღვანელები; აკადემიური/ სამეცნიერო /ან მოწვეული პერსონალი; სტუდენტები; კურსდამთავრებულები; დამსაქმებლები (შრომის ბაზრის/ინდუსტრიის, კურსდამთავრებულის სავარაუდო დასაქმების სფეროს წარმომადგენელი); პროფესიული ორგანიზაციის წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში). პროგრამის სამუშაო ჯგუფი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით შეიმუშავებს სამუშაო გეგმას, რომელშიც დეტალურად უნდა გაიწეროს პროგრამის შემუშავების/ ცვლილებების განხორციელების და აკრედიტაციისთვის მომზადების ვადები, ცალკეული აქტივობის შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები. ფაკულტეტის დეკანის მიერ სამუშაო გეგმა, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობით (ვიზირებით), წარედგინება ბსუ-ს რექტორს, სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ბრძანების გამოცემის მიზნით. სამუშაო გეგმის შესაბამისად, სამუშაო ჯგუფი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად აქტიურად არის ჩართული ცალკეული აქტივობების შესრულების პროცესში შესაბამისი ვადების დაცვის გათვალისწინებით. აღნიშნული პროცესები თავის მხრივ გათვალისწინებულია ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესში (დადგენილება N 06-01/54 14 ივლისი,2023), კერძოდ: მუხლი 3 “პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება“ (პუნქტები 1,2,3,4,5,6). აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით „შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფმა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად სამუშაო შეხვედრაზე კიდევ ერთხელ განიხილა სასწავლო კურსებით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა სტუდენტების საკონტაქტო და დამოუკიდებელი

	სამუშაოსათვის გამოყოფილი საათების თანაფარდობის გათვალისწინებით. ასევე იმსჯელა შეფასების მექანიზმების შესაბამისობაზე. საანალიზოდ წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ უსდ-მ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა „შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის მიმართ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების და ანგარიშის მომზადების პროცესში. შეიქმნა „ისტორია-არქეოლოგიის“ კლასტერის თვითშეფასების ჯგუფი, რომლის პირველი სხდომა ჩატარდა 2023 წლის 29 მაისს. სხდომაზე განიხილეს ,,ისტორია-არქეოლოგიის“ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხი. ასევე დააამტკიცეს სამუშაო გეგმის ფორმა და განსაზღვრეს აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები და მტკიცებულებათა ჩამონათვალი (ოქმი N 1 და სამუშაო გეგმა). 2023 წლის 5 ივნისს გაიმართა „შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის სამუშაო ჯგუფის სხდომა, სადაც განიხილეს აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების სამუშაო გეგმის, ვადებისა და პასუხისმგებელი პირების საკითხი. სხდომაზე დამტკიცდა ჯგუფის სამუშაო გეგმა (ოქმი N 2). სამუშაო ჯგუფმა შეამოწმა სასწავლო კურსების სილაბუსები და იმსჯელა სასწავლო კურსებით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობაზე, სტუდენტების საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაოსათვის გამოყოფილი საათების თანაფარდობის გათვალისწინებით. ასევე იმსჯელა შეფასების მექანიზმების შესაბამისობაზე. 2023 წლის 25 დეკემბერს ჩატარდა „შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის სამუშაო ჯგუფის მორიგი სხდომა, სადაც განიხილეს „შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის მიმართ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ფარგლებში ჩატარებული სამუშაო და დაამტკიცეს რეკომენდაციის შესრულება დანართი 2-ის შესაბამისად (ოქმიN 3). წარმოდგენილი მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ

	სამუშაო პროცესში აქტიურად იყო ჩართული აკადემიური პერსონალი, რომლის ნაწილი (ემზარ კახიძე, გურამ ჩხატარაშვილი) ასევე წარმოადგენდა დამსაქმებელს და ხარისხის სამსახური. აღსანიშნავია, რომ სამუშაო გეგმის მიხედვით ხუთი რეკომენდაციიდან ოთხის შესრულებაზე პასუხისმგებლობა სწორედ ფაკულტეტის ხარისხის სამსახურს ეკისრებოდა. შესაბამისად, შესრულებული იქნა მეოთხე რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებდა ხარისხის სამსახურის აქტიურ თანამშრომლობას აკადემიურ პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის შემუშავებისა და ცვლილების პროცესში.
მტკიცებულებ(ები)ა	• ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი (დადგენილება N 06-01/54 14 ივლისი, 2023); • სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები N 1, 2, 3; • უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის მომზადების სამუშაო გეგმა.

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია V[18]	მონიტორინგისა და განხილვის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა: სისტემატიურად შეაგროვოს და გააანალიზოს ინფორმაცია სტუდენტის დატვირთვის შესახებ (მაგალითად, სასწავლო მასალის რაოდენობა); გამოყოს კრედიტი, რათა უკეთ აისახოს კურსის შინაარსი, სტუდენტის დატვირთვა და შეფასების მეთოდების საერთო წილი კურსების შუალედური და საბოლოო შეფასებებისთვის. გარდა ამისა, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებმა, როგორიცაა კითხვარები, სტუდენტებისგან უნდა გამოავლინოს უფრო კონკრეტული მონაცემები, მათი პროგრამების სახელმძღვანელო ასპექტების ხარისხის შესახებ.

[18]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულების თაობაზე ანგარიშის მიხედვით ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/91 დადგენილება, მუხლი 9) ახორციელებს პერიოდულ კვლევებს ელექტრონული პორტალის portal.bsu.edu.ge საშუალებით, რომელთა მიზანია შეისწავლოს და გაანალიზოს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ, სასწავლო კურსებით კმაყოფილების კვლევა, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზების ხარისხი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, სტუდენტთა სერვისებით კმაყოფილების კვლევა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმება და ა. შ. უსდ სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრების დასრულებისას ატარებს სასწავლო კურსებით კმაყოფილების კვლევას, რომელიც ფოკუსირდება შემდეგ საკითხებზე - თუ რამდენად უზრუნველყოფს სასწავლო კურსი დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას, მათ შორის სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენების გათვალისწინებით; რამდენად უზრუნველყოფილია სასწავლო კურსი შესაბამისი სასწავლო მასალით; რამდენად ადეკვატურია სასწავლო კურსის დატვირთვა, კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ხდება შემდგომი აქტივობების განხორციელება. საკითხები განიხილება კონკრეტული სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირების, პროგრამის ხელმძღვანელების, დარგობრივი დეპარტამენტებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთობლივი თანამშრომლობით. საჭიროების შემთხვევაში ხდება გარკვეული ცვლილებების განხორციელება კონკრეტულ სასწავლო კურსებთან მიმართებაში. ბსუ-ს სასაწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დადგენილება N111 8 ოქტომბერი, 2015 წელი) კერძოდ: მუხლი 14 „სტუდენტის შეფასების წესი“ (პუნქტები 14.2;14.3) განსაზღვრავს შეფასების სისტემას და ასევე შეფასების მეთოდების სარეკომენდაციო ჩამონათვალს გვთავაზობს. სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, მოდული, პრაქტიკა, შემოქმედებითი/ პრაქტიკული სახის პროექტი, საბაკალავრო კვლევითი პროექტი/ნაშრომი ან სხვ.)

	მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60 ქულა, ხოლო დასკვნით შეფასებას - 40 ქულა. მიმდინარე შეფასების კომპონენტები შეიძლება იყოს წერითი გამოკითხვები (ტესტი, რეზიუმე, საშინაო დავალება, ესე, სიტუაციური ამოცანა, კაზუსი და სხვა), ზეპირი გამოკითხვები (დისკუსია, დებატები, პრეზენტაცია, აქტიურობა სემინარზე და სხვა) და შეფასების სხვა ფორმები (როლური თამაში, იმიტაცია, სიმულაცია, პოსტერი და სხვა).“აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს შეფასების წილს, თუმცა პროფესორ-მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას თვითონ განსაზღვრონ და გამოიყენონ შეფასების ის ფორმები, რომლებიც რელევანტურია სასწავლო კურსის შინაარსთან და მაქსიმალურად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. იგივე მარეგულირებელი წესი, კერძოდ მუხლი 13 (საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება), პუნქტი 13.3. გამოყოფს კრედიტს, როგორც ერთეულს რომელიც გამოიყენება სტუდენტის სასწავლო დატვირთვის განსაზღვრისათვის და გამოხატავს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო სამუშაო მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში. ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს, საიდანაც არაუმეტეს 10 საათისა არის საკონტაქტო, ხოლო დანარჩენი - დამოუკიდებელი სამუშაო (ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაშვებია კრედიტში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსხვავებული თანაფარდობა). საკონტაქტო საათი არის საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო, ხოლო დამოუკიდებელი საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო. (ცვლილება - 2022 წლის 03 ივნისის N06-01/39 დადგენილებით). საანალიზოდ წარმოდგენილი მასალების შესწავლა ცხადყოფს, რომ უსდ-ს გააჩნია შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/91

	დადგენილება, მუხლი 9), ბსუ-ს სასაწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დადგენილება N111 8 ოქტომბერი, 2015 წელი) კერძოდ: მუხლი 13, 14 „სტუდენტის შეფასების წესი“ (პუნქტები 14.2;14.3), რომლებიც იძლევა საშუალებას შეისწავლოს სტუდენტთა კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზების, სასწავლო კურსებით, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზების ხარისხით. ასევე გაანალიზოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, სტუდენტთა სერვისებით კმაყოფილების საკითხი, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმება, სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევა, სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობა, სასწავლო კურსების დატვირთვის ადექვატურობა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. საანალიზოდ ასევე წარმოდგენილი იქნა სტუდენტური პორტალის გამოკითხვის შედეგები, რომელიც აღებულია 03.01.2024 წლის მონაცემების მიხედვით. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 159 სტუდენტმა, მათ შორის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამიდან. სამწუხაროდ, მონაცემებში არ არის ინფორმაცია „„შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა მონაწილეობის შესახებ. კითხვები ეხება შემდეგ საკითხებს: ✓ სასწავლო კურსი უზრუნველყოფს დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას - არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა 95.24% ფიქრობს, რომ სასწავლო კურსები სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას; ✓ სასწავლო კურსი უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო მასალით - არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა 100% ფიქრობს, რომ სასწავლო კურსები სრულად უზრუნველყოფილია სასწავლო მასალით ✓ სასწავლო კურსით გათვალისწინებული დატვირთვა ადეკვატურია - არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა 100% ფიქრობს, რომ სასწავლო კურსებით გათვალისწინებული დატვირთვა ადეკვატურია. შესწავლილი დოკუმენტები ცხადყოფს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გააჩნია ყველა ინსტრუმენტი, რათა სისტემატურად შეაგროვოს და გაანალიზოს ინფორმაცია სტუდენტის დატვირთვის

	შესახებ, განახორციელოს სასწავლო პროცესის მონიტორინგი და მოიძიოს კონკრეტული მონაცემები სტუდენტების მხრიდან საგანმანათლებლო პროგრამებით კმაყოფილებასთან დაკავშირებით. შევნიშნავთ, რომ კარგი იქნებოდა საანალიზოდ წარმოდგენილი ყოფილიყო მოპოვებული მონაცემების შინაარსობრივი ანალიზი კონკრეტულად ,,შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგიის" სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვების შესახებ. თუმცა მიგვაჩნია, რომ უსდ-მ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით, შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ მეხუთე რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია.
მტკიცებულებ(ები)ა	• ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი (დადგენილება N 06-01/54 14 ივლისი, 2023; • ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილება; • ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (აკადემიური საბჭოს დადგენილება N06-01/91 14 აგვისტო, 2019; • გამოკითხვა: სასწავლო პროცესის შეფასება - საგნობრივი (სასწავლო კურსებით კმაყოფილების კვლევა) https://portal.bsu.edu.ge/PollStat/145/index.html

თანდართული დოკუმენტაცია[19]

- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი;
- სამუშაო გეგმა;
- სასწავლო კურსების განახლებული სილაბუსები საბიბლიოთეკო რესურსების შესაბამისად;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის სამსახურეობრივი ბარათი სილაბუსებში არსებული სავალდებულო ლიტერატურის გადამოწმების შესახებ;
- ბსუ-ს ილის ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის დირექტორის სამსახურეობრივი ბარათი სავალდებულო ლიტერატურის გადამოწმების შესახებ;
- ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი (დადგენილება N 06-01/54 14 ივლისი,2023);
- დადგენილება N111 8 ოქტომბერი, 2015 წელი;

[19]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა

- 2023 წლის 11 მაისის ბრძანება N01-04/43 ტრენინგებზე „ამობრუნებული სასწავლო ოთახის მოდელი ინლაინ- სწავლებაში“;
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (აკადემიური საბჭოს დადგენილება N 06-01/91 14 აგვისტო, 2019);
- ბსუ-სტუდენტური-პორტალი-სასწავლოკურსებით კმაყოფილების კვლევა;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2024 წლის ბიუჯეტი.

ექსპერტის ხელმოწერა

მერაბი ჭუმბურიძე